



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 123
25/10/2017

123-03-4-201710251733



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ნინო აბაშიძისათვის, ნაკისრი მოვალეობებისაგან განთავისუფლების გარეშე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საოქმო მომსახურების და საქმის წარმოების საკითხებში მოვალეობების დაკისრების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის 3-ე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის 2-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

მუხლი 1. 2017 წლის 26 ოქტომბრიდან - 13 ნოემბრის ჩათვლით ნინო აბაშიძეს ნაკისრი ვალდებულებებისგან განთავისუფლების გარეშე დაეკისროს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საოქმო მომსახურების და საქმის წარმოების საკითხებში მოვალეობების შესრულება.

მუხლი 2. ამ ბრძანების შესაბამისად, ნინო აბაშიძეს კუთვნილი ხელფასის გარდა დამატებით მიეცეს ანაზღაურება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საოქმო მომსახურების და საქმის წარმოების საკითხებში თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მუხლი 3. ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ხელმძღვანელობა